თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2026 წლის 18 მარტის
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 4

ქ. თერჯოლა 18 მარტი 2026 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. გიორგი ბარათაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. ბიძინა ბუცხრიკიძე, 9. ნინო ოქრუაძე, 10. ზურაბ ჩხიკვაძე, 11. ლაშა ლანჩავა, 12. ეკა ბერძენიშვილი, 13. ომარ ჯიხვაშვილი , 14. თემური ქოჩიაშვილი, 15. ნინო მახათაძე, 16. მაკა ყიფშიძე, 17. ნატო კვეტენაძე, 18. ჯანო რობაქიძე, 19. ერეკლე კირკიტაძე, 20. ელისო მურადაშვილი, 21. გიორგი თურქაძე, 22. იუზა უგრეხელიძე , 23. მამული კოვზირიძე, 24. გიორგი ყაზაიშვილი, 25. გიორგი ბრეგაძე, 26. გიორგი ქასრაშვილი, 27. რამაზი ლორთქიფანიძე, 28. მირზა აფრიდონიძე, 29. მანუჩარ ფანჩულიძე, 30. გიორგი ბერეკაშვილი, 31. ნოდარი ხოხიაშვილი, 32. გრიგოლ გიორგაძე, 33. ვლადიმერ მაკარიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1.ლაშა გურგენიძე, 2. შალვა ჭანკვეტაძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 35 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 35 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 33 წევრი
კვორუმი: 18 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები; გოდერძი თურქაძე, დიანა ფოცხვერაშვილი, ნათია სახეჩიძე მ/შ.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ^{40}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

სხდომის დაწყებამდე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II ხსოვნას.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282607561, 16.03.2026 წ.);

მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

2. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282606564, 06.03.2026 წ);

/მომხ: ბ. ბუცხრიკიძე/

3. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282606564, 06.03.2026 წ);

/მომხ: ბ. ბუცხრიკიძე/

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282606564, 06.03.2026 წ);

/მომხ: ბ. ბუცხრიკიძე/

5. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ '' (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282606564, 06.03.2026 წ);

/მომხ: ბ. ბუცხრიკიძე/

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირერბული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28260731, 14.03.2026 წ.);

/მომხს.: ლ. ლანჩავა/

7. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის № გ-29.292601412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28260731, 14.03.2026 წ.);

მომხს.: ლ.ლანჩავა

8. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282607018, 11.03.2026 წ).

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

/თანამომხს.: გ. თურქაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -33, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 605.0 ათასი ლარით და შეადგენს 34463.4 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 605.0 ათასი ლარით (გრანტი).
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 605.0 ათასი ლარით. მ/შორის:
გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტუქციისა და მოვლა შენახვის დაფინანსება გაიზარდა - 190.0 ათასი ლარით (მდ. ყვირილაზე არსებული გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია).
საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსება გაიზარდა - 415.0 ათასი ლარით (საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-33, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №44 18/03/2026 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იუირიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება გადადის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის შემადგენლობაში და შესაბამისად ცვლილებები შედის მერიის რამდენიმე სტრუქტურული ერთეულის დებულებასა და მერიის საშტატო ნუსხაში.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 33, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი(დადგენილება №40 18/03/2026 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 33, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №43 18/03/2026 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -33, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №41 18/03/2026 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -33, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №42, 18/03/2026 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირერბული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №g-29.292601410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამით, რომლის ბიუჯეტია 8000 (რვა ათასი) ლარი, ისარგებლა 13 ბენეფიციარმა, თანხა თითქმის

მთლიანად ამოწურულია, ამიტომ აღნიშნულ პროგრამას 10 000 (ათი ათასი) ლარი ემატება „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამიდან“.

განკარგულების დანართის მე-4 და მე-7 მუხლები იცვლება და ყალიბდება ახალი რედაქციით :

ბ)განკარგულების დანართის მუხლი 4 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,,,მუხლი 4. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს უფლება აქვს კალენდარული წლის განმავლობაში ისარგებლოს ფინანსური დახმარებით არაუმეტეს ორჯერ, თითოეულ შემთხვევაში 300 (სამასი) ლარის ოდენობით (300–300 ლარი), ჯამურად არაუმეტეს 600 (ექვსასი) ლარისა.

გ) განკარგულები დანართის მეშვიდე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,, მუხლი 7. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია

შშმ პირის მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) ერთ ერთი მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი / პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი , დაბადების მოწმობის ასლი.

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100).

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში)

ე) შ შ მ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ვ)სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის არსებობის შემთხვევაში.''

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -33, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირერბული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი)განკარგულება №გ-29.2926077001, 18/03/2026 წ.).

7.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის № გ-29.292601412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა

სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის“ გაზრდის ხარჯზე შემცირდა „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა“ 10 000 (ათი ათასი) ლარით და გახდება 60 000 (სამოცი ათასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -33, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის № გ-29.292601412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29260772, 18/03/2026 წ.).

8.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის №85 განკარგულების საფუძველზე, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიზნით გამოეყო 690000 ლარი, მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარე წლის 9 თებერვლიდან 13 თებერვლის ჩათვლით ჩატარდა სოფლის საერთო კრებები და კონსულტაციები საპროექტო წინადადებების შერჩევის მიზნით, შერჩეულია 64 პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -32, წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29260773, 18/03/2026 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 18 მარტის რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე